საკრებულოს წევრის საქმიანობის ყოველკვარტალური (წლიური) ანგარიში

თვითმმართველი ერთეულის დასახელება: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: ზურაბ ნაკაიძე

საკრებულოში დაკავებული თანამდებობა: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე

ფრაქციის წევრობა: ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო

კომისიის (კომისიების) წევრობა: ინფრასტრუქტურის კომისიის წევრი

არჩევის წესი (მაჟორიტარის შემთხვევაში ოლქის მითითებით): 79- 06

საანგარიშგებო პერიოდი: 2019 წელი

განხორციელებული საქმიანობები:

1. საკრებულოს სხდომების რაოდენობა, რომლებშიც მონაწილეობდა ანგარიშის წარმდგენი

   13 სხდომა

2. საკრებულოს ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა

   119 საკითხი

3. საკითხები, რომლებსაც საკრებულოს სხდომებზე მხარი არ დაუჭირა ანგარიშის წარმდგენმა

   არცერთი

4. საკრებულოს კომისიების სხდომების რაოდენობა, რომელშიც მიღო მონაწილეობა ანგარიშის წარმდგენმა

   23 (13 საფინანსო + 10 ინფრასტრუქტურა)

5. კომისიების მიერ ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა

   72 (44 საფინანსო + 28 ინფრასტრუქტურა)

6. საკითხები, რომლებსაც კომისიების სხდომებზე მხარი არ დაუჭირა ანგარიშის წარმდგენმა

   არცერთი

ანგარიშის წარმდგენის მიერ საკრებულოში ინიცირებული საკითხები ძირითადად საკითხის ინიცირება ხდება ფრაქციის სხდომაზე და მოწონების შემთხვევაში ისახება ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში

7. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა

64

8. ამ შეხვედრებზე დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა

722

9. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოკვეთილი ძირითადი საკითხები:

ე.წ ტაილანდური მასაჯების ოთახების დახურვა;

მაწანწალა ძაღლების პრობლემა;

ავარიული სახლების პრობლემა;

ძეგლის სტატუს მქონე შენობების რეაბილიტაციის პრობლემები;

ავტომობილების სავალი ნაწილის პრობლემა; (ე.წ ბრუშატკის პრობლემა);

ტროტუარებზე ფილების პრობლემა;

იტალიურ ეზოებში ელექტრო გაყვანილობის პრობლემა.

10. სხვა განხორციელებული საქმიანობები

- ქალაქის მაშტაბით ინფრასტრუქტურული და კეთილმოწყობითი სამუშაოების ადგილზე დათვალიერება და კონტროლი;
- მოქალაქეების მიერ წამოყენებული პრობლემების ადგილზე გაცნობა, მისი შემდგომი მოგვარების მიზნით;
- ვარ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველ და სხვა პირთა მატერიალური დახმარების გაწევის კომისიის წევრი;
- აგრეთვე ვარ ქალაქ ბათუმის მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმის მართველი საბჭოს წევრი;
- ყოველ ხუთშაბათს ძველი ბათუმის ადმინისტრაციული ერთეულის სერვისცენტრში (11:00 – 14:00 მდე) ვხვდები ამომრჩევლებს
- აქტიურად ვხვდები ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების, სამსახურების ხელმძღვანელებს (ა(ა)იპ; შპს);
- მონაწილეობას ვღებულობ სხვადასხვა დასუფთავებისა და გამწვანების აქციებში;
- ვესწრები ქალაქის მაშტაბით ჩატარებულ ინფრასტრუქტურულ, კულტურულ, სპორტულ და საიუბილეო ღონისძიებებს.

შედეგი, ეფექტი:

ზუბალაშვილი, ლუკა ასათიანი, დიმიტრი თავდადებულის ქუჩების კვეთაში გაკეთდა ახალი სკვერი;

ახმეტელის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ სკვერში მოეწყო დეკორატიული ღობე და განახლდა სკვერის გამწვანება;

გოგებაშვილის ქუჩის მიმდებარედ საზღვაო ნავსადგურთან არსებული სკვერს მიენიჭა მეზღვაურთა სკვერის სახელწოდება;

შეკეთდა ზუბალაშვილის და ზვიად გამსახურდიის ქუჩების მიმდებარე სკვერი;

რუსთაველის №10 ში დაიწყო შენობის ფასადის ახალი დიზაინით რეკოსნტრუქცია აგრეთვე ახმეტელის ქუჩაზე მდებარე 12 სართულიანი სახლების ფასადის რეკონსტრუქციის პროექტირება;

დაიწყო დიმიტრი თავდადებულის №35, კომახიძის №4, მაზნიაშილის #6 ძეგლის სტატუს მქონე შენობების რეკოსსტრუქცია რეაბილიტაცია;

მარჯანიშვილის ქუჩაზე დამონტაჟდა დეკორატიული მოაჯირი;

4 ეზოს უკეთდება ახალი ჭიშკარი;

მოწესრიგდა გარე ვაჭრობის პრობლემა მთლიანად ძველი ბათუმის ტერიტორიაზე;

ძველ ბათუმში დაირგო 260 ხე; დამონტაჟდა 1 ბარიერი; 1 ელექტრო კარი; 4 ეზოში მოწერისგდა კანალიზაციის და სანიაღვრე სისტემა, 6 ეზოში დამონტაჟდა გარე განათება; 4 საცხოვრებელ სახლზე გამოიცვალა სახურავი; გამოიცვალა 1 ძველი ლიფტი ახალით და სხვადასხვა მისამართებზე წყალშემკრები და წყალსაწრეტი მილები

განხორციელებული საქმიანობების შედეგად მიღებული შედეგი, მაგ. ანგარიშის წარმდგენის მიერ ინიცირებული რამდენი პროექტი იქნა მიღებული საკრებულოს მიერ, რა შესრულდა ამომრჩევლის წინაშე აღებული ვალდებულებებიდან

შემდეგი საანგარიშგებო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტები:

მაწანწალა ძაღლების პრობლემების გადაწყვეტის მოძიება;

ტროტუარებზე ფილების პრობლემის მოგვარება;

იტალიურ ეზოებში ელექტრო გაყვანილობის კეთილმოწყობა;

ავარიული სახლების პრობლემის გადაწყვეტის მექანიზმების პროგრამული წესით დამტკიცება;

ძველი ბათუმის ტერიტორიაზე არსებულ შენობებზე მისამართის მანიშნებელი აბრების მონტაჟი.